



**კარვის გაშლის გამო პირის
ადმინისტრაციულ
სამართალდამრღვევად ცნობის საქმე
ევროპულ სასამართლოში არსებითი
განხილვის ეტაპზე გადავიდა**

**კარვის გაშლის გამო პირის
ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად
ცნობის საქმე ევროპულ სასამართლოში**

არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა

2024 წლის 13 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილი საჩივრის არსებითი განხილვა დაიწყო. საჩივარი, რომელიც 2023 წლის 14 სექტემბერს [გაიგზავნა](#), ეხება პოლიციელთა მხრიდან სამოქალაქო აქტივისტ, ზურაბ ქარჩავას [უკანონოდ დაკავებასა](#) და კარვის მეშვეობით მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის უფლების შეზღუდვას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე მშვიდობიანი პროტესტის შეზღუდვა საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სახიფათო ტენდენციას წარმოადგენს და არა მხოლოდ ზურაბ ქარჩავას, არამედ სხვა მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის მსურველი პირებისთვისაც ქმნის მსუსხავ ეფექტს. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს მხრიდან საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მიღება საკმაოდ შემაჯდომოვებელ ვადაში მოხდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხსენებული საჩივრის გაგზავნა წინ უსწრებდა მმართველი პარტიის დეპუტატთა საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც კარვის ან/სხვა ინსტალაციის მეშვეობით პროტესტის დე-ფაქტო გაუქმებას ისახავდა მიზნად.

სასამართლომ სახელმწიფოს შემდეგი შეკითხვებით მიმართა:

- წინამდებარე საქმის გარემოებები (პროტესტის შეწყვეტის ბრძანება, მომჩივნის პოლიციის განყოფილებაში მიყვანა, მისი დაკავება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე სამართალდარღვევად ცნობა), ცალ-ცალკე ან კუმულატიურად, წარმოადგენს თუ არა ჩარევას მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის ქვეშ, მათ შორის, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლების კუთხით?

- პირველ შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, იყო თუ არა ასეთი ჩარევა კანონით განსაზღვრული, მისდევდა, თუ არა ლეგიტიმურ მიზანს და იყო, თუ არა **პროპორციული** დემოკრატიულ საზოგადოებაში“?

- იყო თუ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩარევის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები **პროპორციული** და საკმარისი **და** გამოიყენა თუ არა ეროვნულმა ხელისუფლებამ სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლში მოცემულ პრინციპებს, საჭიროების შემთხვევაში, მე-11 მუხლის გათვალისწინებით?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს წერილობითი პოზიციის წარდგენისთვის ვადა 2024 წლის 7 მაისამდე განუსაზღვრა.

ამ საქმეს საია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებდა